საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

# სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 207
26/09/2022

207-2-4-202209261402

მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების მიზნით
კონკურსის (#2/3) გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #3/257 ბრძანებით დამტკიცებული ,,კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების" პირველი მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად ვბრძანებ:

1.2022 წლის 26 სექტემბერს გამოცხადდეს კონკურსი (#2/3) მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების მიზნით წინამდებარე ბრძანების დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.

2.დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

3.ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE